სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

06394814288016

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160896087

რეგისტრაციის თარიღი

12.08.2016 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია
მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასთექვსმეტი წლის თორმეტ აგვისტოს, მე ნოტარიუსს ირმა გოგიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა №14, მომმართა მოქალაქე გიორგი ბაგალიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ, არის შპს „სტილ ჯგუფი“-ს (ს/კ №406154511) დირექტორი და თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15172367, მომზადების თარიღი: 31/08/2015.

გიორგი ბაგალიშვილმა გამოხატა მინდობილობის შედგენის და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე გიორგი ბაგალიშვილის (დაბ: 24.05.1977 წელს, სიღნაღში, პ/ნ #40001001101, რეგისტრირებული მისამართზე: სიღნაღი, ქ. წნორი, თბილისის ქ. N 14) პირადობა. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მინდობილობის გამცემმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასთექვსმეტი წლის თორმეტ აგვისტოს, მე, გიორგი ბაგალიშვილმა (დაბ: 24.05.1977 წელს, სიღნაღში, პ/ნ #40001001101, რეგისტრირებული მისამართზე: სიღნაღი, ქ. წნორი, თბილისის ქ. N 14), როგორც შპს „სტილ ჯგუფი“-ს დირექტორმა, არჩილ ჯაშიაშვილს (დაბ: 03.11.1984 წელს, თელავში, პ/ნ #20001016127, რეგისტრირებული მისამართზე: თელავი ს. ვარდისუბანი მე–8 ქ. N 14) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ:

1. არჩილ ჯაშიაშვილი უფლებამოსილია ჩემი, როგორც შპს „სტილ ჯგუფი“-ს დირექტორის სახელით მართოს შპს „სტილ ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება, მოახდინოს ზ/აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გაზიფიცირების/ელექტროფიცირების/წყალმომარაგების საპროექტო/სამონტაჟო სამუშაოები და ჩამაბაროს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია, მიიღოს ინფორმაცია და/ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში აღმოფხვრას ისინი, მოახდინოს უძრავი ქონების აზომვა, აზომვითი ნახაზის აღება შესაბამისი დაწესებულებებიდან (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით), მოახდინოს ფართის დაზუსტება აზომვითი ნახაზის შესაბამისად, მოაგვაროს დაკანონების, გამიჯვნის, ლეგალიზების, რეგისტრაციის, რეკონსტურქციის საკითხები. მოახდინოს პროექტის შესწორება/გადავადება, შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, აწარმოოს სამშენებლო საქმიანობა, დაამტკიცოს პროექტი, ჩემი სახელით შეკრიბოს ყველა საჭირო ცნობა/დოკუმენტი და შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზ/აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

2. ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოსთან ურთიერთობაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, ტექინვენტარიზაციის ბიუროში, შესაბამის კომისიებში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, სამოქალაქო რეესტრში, არქივში, სამისამართო-საინფორმაციო ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში და ა.შ.

3. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

4. მინდობილობა გაცემული 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო 2 (ორი) გადაეცა მინდობილობის გამცემს, მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, 2 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა. სულ გადახდილია 13.80 ლარი.

ხელმოწერა ---გიორგი ბაგალიშვილი---

ნოტარიუსი ირმა გოგია

საქართველო. ნოტარიუსი ირმა გოგია. GEORGIA. NOTARY IRMA GOGIA. 01027003167